

05/09/2025



MES 8 25 0001075463

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)

წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მაღაზონია - შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - „ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა:

თამარ ნაკაშიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლა:

მანანა გელენიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლა:

ხათუნა აფხაზავა - სკოლის დირექტორი

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა:

შორენა უგრეხელიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა:

თამარი ლუკავა - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა:

მზევინარ მუთიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა:

დავით ნაკაშიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა:

თამილა თამაზაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლა:

თინათინ ოსიაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა:

ეკატერინე ჩიტაური - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა:

ა) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ლელა ცარციძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) თამარი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ლანა არახამია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლა:

ა) გოჩა შუბითიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ნათია ლოღობერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯაღლის საჯარო სკოლა:

- ა) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ნანა კაცაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) მაკა გრძელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა:

- ა) თამთა კვარაცხელია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) სოფიო დუმბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლა:

- ა) ნესტან სიხარულიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლა:

- ა) ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თათული მგელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) მანანა სამხარაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა:

ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო ჯაში-შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლაურა ჯიმშელიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლა:

ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელიზბარ ბარბაქაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლა:

ა) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ციცვიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარინა ტარულიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ტოლია კილასონია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა:

- ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) მარიამი გარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ლაურა ჯიმშელიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 20 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

- 1.სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 2.სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 3.სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 4.სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 5.სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 6.სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 7.სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- 8.სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9.სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10.სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრს დაუკავშირდნენ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთისა და სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეები, რომლებიც ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე მოგვიანებით ვერ შეძლებდნენ საბჭოს სხდომაზე დასწრებას და შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, აღნიშნული სკოლების განხილვა მომხდარიყო 1-ელ და მე-2 საკითხებად. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ქალაქ წალენჯიხის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9.სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10.სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულებების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხადემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 29 და 30 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამდიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 500. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ია სოხადემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, კეთილმოწყობილი და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რესურსი, სკოლის ეზო იყო გამწვანებული და რეკრეაციული. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე არსებული ღობის მთლიანობა იყო დარღვეული და ამ მიმართულებით სკოლისთვის გაიცა რეკომენდაცია. ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ექიმის ოთახი, ლაბორატორიები, ლიფტი, ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი და სხვა, ასევე, სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, თუმცა, აღნიშნულს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ვინაიდან, ღობის მთლიანობის აღდგენისთვის სკოლას შესაბამისობის გეგმით გაწერილი ჰქონდა 2027 წელი, როგორ იქნებოდა მოსწავლეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი და ამ მიმართულებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე ნაბიჯი გადადგმული.

სკოლის წარმომადგენლის, თინათინ ოსიაშვილის, განმარტებით, მათ ჰქონდათ მზაობა, ღობის მთლიანობის აღდგენის საკითხი მოეგვარებინათ 2027 წლამდე.

საბჭოს წევრი, ირმა ამირანაშვილი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების ვადად განსაზღვრული დეკემბრის თვე, ნაცვლად სექტემბრისა.

სკოლის წარმომადგენელმა, თინათინ ოსიაშვილმა, აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ შენიშვნას და ერთწლიან სამოქმედო გეგმას დაამტკიცებდნენ სექტემბერში.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, რას აკეთებდა სკოლა STEM სწავლების გაძლიერებისთვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ვლადიმერ ბერუაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიმართ გარკვეული რჩევები გაიცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ვინაიდან სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადოება ახლად გადასული იყო, სრულად არ ჰქონდათ ის რესურსები, რომლებიცც ესაჭიროებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას,

შესაბამისად არ ჰქონდათ არც ერთი კლუბი, თუმცა, ჰქონდათ მზაობა სამომავლოდ განვითარებინათ აღნიშნული მიმართულება.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, საბჭოსთვის გაეზიარებინა მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესახებ.

სკოლის დირექტორის მოადგილემ, თინათინ ოსიაშვილმა, განმარტა, რომ კურიკულუმებთან დაკავშირებით ჰქონდათ გარკვეული ხარვეზები, რომლებიც გამოასწორეს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:25

დასრულების დრო - 14:32

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 და 27 მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის საჯარო სკოლას (ს/კ: 231263619) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი.
---	--	---------	---------	--

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 1.1, 1.2, 3.1 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, სკოლას განესაზღვრა, სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსების განსაზღვრის, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის კონკურსის გამოცხადების, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სკოლის ვებ-გვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების მტკიცებულებების წარმოდგენა. 2027 წლის აგვისტოში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, ეზოს გვერდით მხრიდან ჩამოშლილი ბეტონის ფილების უსაფრთხოდ მოწყობის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამდიბლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა განთავსებული იყო ხის შენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საკმაოდ დიდი ვადა კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმებისთვის და დაინტერესდა, რა იყო ამის მიზეზი, ასევე, მიმართა ექსპერტებს, შეეფასებინათ, როგორ მიმდინარეობდა სწავლება სკოლაში.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა მათი მზაობა და სწრაფვა განვითარებისკენ, ასევე, მისი თქმით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად, აქვე, აღნიშნა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები, თუმცა, ვინაიდან, დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში, არ იყვნენ მსურველები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რამდენი პირველკლასელი მიიღო სკოლამ.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით ნაკაშიძემ, აღნიშნა, რომ 2025-2026 სასწავლო წელს სკოლამ მიიღო ერთი პირველკლასელი, აქვე, მასწავლებელთა კვალიფიკაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ყველა მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ცეცხლმაქრები.

სკოლის წარმომადგენლის, დავით ნაკაშიძის თქმით, სკოლას ჰქონდა ცეცხლმაქრები.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა ექსპერტებს, კურიკულუმებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებისთვის გაეცნოთ მეტი დეტალი.

მათემატიკის ექსპერტმა, ნონა გორგილაძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად იყო საკმაოდ ბევრი ხარვეზი, თუმცა, გამოიკვეთა სკოლის წარმომადგენლებისა და მასწავლებლების მზაობა და კურიკულუმებთან დაკავშირებული რიგი რჩევები გაითვალისწინებულ იქნა ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, კლას კომპლექტებში მუშაობის რა გამოცდილება ჰქონდათ მასწავლებლებს.

ექპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ სწავლებისა და კლას კომპლექტებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. აქვე, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით ნაკაშიძემ, განმარტა, რომ იმ მასწავლებელს, რომელიც ასწავლიდა კლას კომპლექტში მე-2-მე-4 კლასი, დადასტურებული ჰქონდა კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:55

დასრულების დრო - 15:03

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლას (ს/კ: 247863753) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა.
3		საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა.

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
--	--	--	--

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის აგვისტოში 2.2 და 3.1 კომპონენტებთან მიმართებით, კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევა/დასაქმების, ხოლო 2027 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და სკოლის შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის. ექსპერტის თქმით, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუნდაგასა და ქვედა ბზუბზუში. სოფელ ზუნდაგაში მდებარეობდა ორი შენობა, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა N2ა-ში.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით,

ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ ძირითადი შენობა იყო კეთილმოწყობილი, ხოლო მიერთებულ სკოლებს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების გაძლიერებას, სკოლაში მოწყობილი იყო ხელოვნების სახელოსნო, ეწყობოდა იმიტირებული კინოჩვენების დარბაზი, ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, დამხმარე შენობებში როგორ იყო სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილი და როგორ უზრუნველყოფდა სკოლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გაცემული რჩევების გათვალისწინებას.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ მიერთებულ სკოლებში მოწყობილი იყო სამედიცინო პუნქტი, ერთ-ერთი შენობის წინ კი მდებარეობდა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ლაბორატორია და აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავდნენ, ასევე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გადამზადებული იყვნენ პირველადი სამედიცინო დახმარების მიწოდებაში.

სკოლის დირექტორის, თამარ ნაკაშიძის განმარტებით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი გადამზადებულია და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს აღმოუჩენდა დახმარებას, ლაბორატორიასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მიმდინარე წელს სკოლა ჩასმული იყო სრული რეაბილიტაციის პროექტში და ინფრასტრუქტურა მოეწყობოდა საჭიროებებისამებრ.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოებში გარკვეული სვეტები იყო ცარიელი, მათ შორის შემოქმედებითი დავალების სვეტი და აღნიშნა, რომ ესაჭიროებოდა რევიზია. აქვე, დაინტერესდა, როგორი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი სკოლაში.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:33

დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2¹ და მე-3 და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 246760688) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	1) ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა; 2) ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ბზუბზუ; 3) ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა N2ა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა N2ა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;

მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის აგვისტოში 3.1 კომპონენტთან მიმართებით, კვალიფიციური პედაგოგების(დაწყებითი საფეხურისა და სპორტის) დასაქმების, ხოლო 2027 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სამივე შენობაისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის, მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნისა და სოფელ ბზუბზუსა და ზუნდაგას დაწყებითი კლასის სკოლების სივრცეების

ვიდეოსათვალთვალ კამერების დამონტაჟების, სოფელ ზუნდაგას ორსართულიანი შენობის სრული ადაპტირების, კერძოდ, ადაპტირებული სველი წერტილებისა და სართულებზე გადასადგილებლად პანდუსის/ლიფტის მოწყობის, ხოლო სოფელ ზუნდაგასა და ბზუბზუს ერთსართულიანი შენობის შესასვლელისთვის პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაშვილმა, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივ“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ, წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო. ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, როგორ აპირებდა დაწესებულება მასწავლებელთა გადლიერებას ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.

სკოლის დირექტორმა, მანანა გელენიძემ, აღნიშნა, რომ ტექნოლოგიების მიმართულებით მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ კურსები, რომელიც ჩაატარა ამავე სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობდა პროექტული სწავლება სკოლაში და როგორ ხდებოდა მისი შეფასება.

აქვე, საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ კურიკულუმებს ესაჭიროებოდა რევიზია.

სკოლის დირექტორმა, მანანა გელენიძემ, განმარტა, რომ სკოლის წარმომადგენლებს ჰქონდათ მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებისთვის და უახლოეს მომავალში შესაბამისობაში მოიყვანდნენ ყველაფერს.

